საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
ტელ.: 51 00 33
030160366430211

ჯლ 01-04-8/161.
28.09.2011წ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ ანდრია ურუშაძეს

ბატონო ანდრია,

მოგმართავთ, მასწავლებელთათვის უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემასთან დაკავშირებით:

ჩვენ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სიტყვიერი მითითების საფუძველზე, საჯარო სკოლის დირექტორები ახდენენ მასწავლებლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების სრულიად უსაფუძვლო, თვითნებურ ინტერპრეტაციას. ისინი მასწავლებლებს აიძულებენ შეწყვიტონ ძველი, ხანგრძლივი ვადით, ან უვადოდ დადებული შრომითი ხელშეკრულება და ხელი მოაწერონ მცირევადიან (სამთვიან, ექვსთვიან, ან ერთწლიან) ხელშეკრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოდან გათავისუფლებით ემუქრებიან, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, **შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.** შრომითი ურთიერთობის ვადის ცვლილება, რომელიც იწვევს პედაგოგთა შრომითი მდომარეობის გაუარესებას არის შრომითი ხელშეკრულების პირობების არსებითი შეცვლა, რომლისთვისაც აუცილებელია მეორე მხარის, ანუ დასაქმებულის თანხმობა და არა იძულება და სამუშაოდან გათავისუფლების მუქარა.

მიგვაჩნია, რომ მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები ვერ უზრუნველყოფს სკოლებში ჯანსაღი გარემოს დამკვიდრებას და, პირიქით, ხელს შეუშლის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ახალი მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობა არ გამომდინარეობს არანაირი სამართლებრივი ნორმიდან, უფრო მეტიც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #959 ბრძანების ***(„საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომით ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ")*** მე-9[1] მუხლის თანახმად, რეკომენდირებულია მასწავლებელთან დაიდოს გრძელვადიანი - მინიმუმ 3-5 წლით შრომითი ხელშეკრულება. აღნიშნული

მდგომარეობა გამოიწვევს პედაგოგიურ კოლექტივებში სტრესული და არამდგრადი ატმოსფეროს შექმნას. სამსახურის დაკარგვის პერმანენტული შიშის გამო, გაიზრდება კონფლიქტური სიტუაციების რაოდენობა, რაც საბოლოოდ უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს სწავლების ხარისხზე, რითაც ყველაზე მეტად დაზარალდება მომავალი თაობა.

ვსარგებლობ უფლებით, მოგმართოთ, როგორც შრომის მინისტრს და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის თავმჯდომარეს, გთხოვთ, შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოთ შესაბამისი ზომები.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისა და თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

მაია კობახიძე
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა
თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი